

## მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

### მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლები

1.წინამდებარე პროგრამა ვრცელდება "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "ა" პუნქტით დადგენილ ვეტერანთა კატეგორიაზე, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

2.პროგრამით მოსარგებლე ვეტერანთა რაოდენობა დგინდება სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებული ვეტერანთა სიების საფუძველზე. აღნიშნული სია შესაბამისობაში მოდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ ბაზასთან.

3.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

### მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

პროგრამით მოსარგებლე თითოეული მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (20 ვეტერანი) მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 150,00 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი (75 ვეტერანი) მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 80,00 ლარის ოდენობით.

### მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ვადა

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 20 აპრილიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

### მუხლი 5. პროგრამის დაფინანსება

პროგრამის ბიუჯეტია 9 000,00 (ცხრა ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	9 000,00 ლარი
I კვარტალი	0 ლარი
II კვარტალი	9 000,00 ლარი
III კვარტალი	0 ლარი
IV კვარტალი	0 ლარი

#### **მუხლი 6. პროგრამის შედეგი**

ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

#### **მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

#### **წინო ქვია**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი